# სიმსივნურ დაავადებებს ყირგიზეთში „კამელინით" მკურნალობენ

თითქმის წელიწადია პრეპარატ „კამელინის" ხუთივე ფორმა დარეგისტრირდა ყირგიზეთში. ყირგიზეთის ჯანდაცვის სამინისტროს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის, რადიოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელმა ზარემა იზმაილოვამ პირადად იზრუნა, რომ რაც შეიძლება მცირე დროში მომხდარიყო „კამელინის" შეტანა ყირგიზეთის ფარმაცევტულ ბაზარზე და ონკოპაციენტებისთვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო ეკოლოგიურად სუფთა, ნატურალური პრეპარატი „კამელინი".

**ზარემა იზმაილოვა,** *ყირგიზეთის ჯანდაცვის სამინისტროს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის, რადიოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი:* „ყირგიზეთში უკანასკნელ წლებში სიმსივნურ დაავადებებმა საგრძნობლად იმატა, თან გაახალგაზრდავდა, განსაკუთრებით კი ქალბატონებში. სტატისტიკური მონაცემებით პირველ ადგილზეა საშვილოსნოს ყელის სიმსივნე. საერთაშორისო სიმპოზიუმზე საქართველოდან, ონკოლოგ ალექსანდრე ცალუღელაშვილისგან შევიტყვე ქართული პრეპარატის „კამელინის" შესახებ, დავინტერესდი, გავეცანი ექსპერიმენტულ და კლინიკურ კვლევებს, რომელიც ჯერ კიდევ ავტორის, ძაგული მაღლაკელიძის დროიდან დაწყებულა. ამ ინფორმაციებზე დაყრდნობით ჩემს პაციენტს, რომელსაც პაპილომავირუსის გამო 15 წელი არ ყავდა შვილი (ამოვწურეთ მკურნალობის ყველა აპრობირებული მეთოდი და შედეგს ვერ მივაღწიეთ) შევთავაზე (წყვილს) ემკურნალათ „კამელინის" სანთლებითა და ამპულებით. რა თქმა უნდა, ქირურგიულ ჩარევას „კამელინით" მკურნალობა ამჯობინეს. ზედიზედ ჩაიტარეს მკურნალობის 4 კურსი. ყოველი 20 დღის შემდეგ ხორციელდებოდა შემოწმება, როგორც ექოსკოპიურად, ასევე ანალიზებით, შედეგები დინამიკაში იმედისმომცემი იყო, ამიტომაც ვაგრძელებდით მკურნალობას. მიღწეული შედეგით განცვიფრებული დავრჩი. დავიწყე პრეპარატ „კამელინის" გამოყენება სხვა პაციენტებზეც. შემდეგ კი დამებადა იდეა, თუ როგორ მოხერხებულიყო „კამელინის" შემოტანა ჩვენს ქვეყანაში, რადგან ხელმისაწვდომი გამხდარიყო ყირგიზეთის მოქალაქეებისთვის. პირადად ჩავედი საქართველოში, შევხდი კომპანია „კამელინის" წარმომადგენლებს, კვლევაში ჩართულ მეცნიერთა და სხვადასხვა პროფილის ექიმთა ჯგუფს. მათი მეშვეობით უფრო ღრმად გავეცანი კვლევების შედეგებს და გამოითქვა თანამშრომლობის სურვილი. დაიწყო პროცედურები, რომელიც საჭიროა პრეპარატის რეგისტრაციისთვის სხვა ქვეყნის ფარმაცევტულ ბაზარზე შესატანად. გასაოცრად მოკლე დროში „კამელინის" 5 ფორმა დარეგისტრირდა ყირგიზეთში. ჩემი ინფორმაციით „კამელინის" მომხმარებლები მაინც ონკოპაციენტები არიან, არადა მისი გამოყენება რომ ხდებოდეს პროფილაქტიკური მიზნით წელიწადში ერთხელ მაინც, თავიდან ავიცილებდით მრავალი დაავადების რისკს. „კამელინის" შეთავსება შესაძლებელია ყველა სამკურნალო საშუალებასთან.

**P.S.** დღითიდღე იზრდება მადლიერ პაციენტთა რაოდენობა არამარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთ. ფარმაცევტული კომპანია „კამელინი" იღებს სხვადასხვა ქვეყნებიდან პაციენტთა მადლობის წერილებს, დოკუმენტურად დადასტურებულ ინფორმაციებს დიაგნოსტიკური კვლევების შედეგებს. „კამელინის" მოქმედება ინდივიდუალურია, იგი უპირობოდ აუმჯობესებს სიცოცხლის ხარისხს, საგრძნობლად ამცირებს ტკივილებს, დადებითად მოქმედებს დაავადების მიმდინარეობაზე. პრეპარატის გამოყენება შესაძლებელია როგორც კომპლექსური თერაპიის შემადგენელი ნაწილი, ასევე დამოუკიდებლად. ქართული წარმოების 5 ფორმის პრეპარატი „კამელინ მ1" ინექცია, „კამელინ მ2" კაფსულა, „კამელინ მ3" მალამო, „კამელინ მ4" სანთლები და „კამელინფლუ სპრეი" გამოიყენება სიმსივნური დაავადებების, ვირუსული და ბაქტერიული ინფექციების, გინეკოლოგიური, პროქტოლოგიური, უროლოგიური, სახსრების დეგენერაციულ დისტროფიული და სხვა დაავადებების დროს.

***ესაუბრა მაია ცომაია***

R


**„კამელინთან" დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება და კონსულტაცია უფასოა, დარეკეთ: 2-98-57-78; 2-93-20-87; 2-98-62-25 (ოფისი); 2-75-04-08; 599-33-10-89; 599-58-09-07; 577-73-56-51; 599-23-03-33**

**www. camelyn.ge, E-mail: info@camelyn.ge**